

572
1969/2

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ბავშვები

1969 წლის 2-ე ნომერი





ჩიტი-ჩიოლა

მუსიკა გზია ქოსტავასი

ლექსი ვაჟა-ფშაველასი

ამწვანდა მთები, ამწვანდა ვალა,
ბუნება ტურფად გაღარიბალა.
მწვანობს ჯეჯილი, შვევიცის ხეხილი.
მინდვრად ცხვარი ჩანს გადაფენილი.
ჩიტო-ჩიოლა ვალობს და ვალობს,
არც დადმინა, არც დაიღალა,
ღიან წყარონი უხვად სველგანა,
რარეგად ხარობს მთელი ქვეყანა.
ნახატი ზურბე კაპანაძისა

ბოძორი

ამ-წვან-და მთ-ებ-ს და-ღარ-ი-ბ-ალ-ა
მ-წვან-ობ-ს ჯე-ჯი-ლი და-ღარ-ი-ბ-ალ-ა
მ-ინ-დვ-რად ცხ-ვარ-ი ჩან-ს გა-და-ფ-ენ-ი-ლი
ჩ-იტ-ო-ჩ-ი-ო-ლა ვა-ლო-ბ-ს და-ღარ-ი-ბ-ალ-ა
არ-ც და-დ-მ-ინ-ა და-ღარ-ი-ბ-ალ-ა
ღ-ი-ან წ-ყ-არ-ონ-ი უ-ხ-ვად ს-ვე-ლ-გ-ან-ა
რ-არ-ე-გად ხ-არ-ობ-ს მ-თ-ე-ლი ქ-ვე-ყ-ა-ნ-ა
ნ-ახ-ა-ტი ზ-ურ-ბ-ე კ-ა-პ-ან-ა-ძ-ის-ა



დედა-შვილის ზღაპარი

მზია იოსელიანი

ნახატები ჯემალ ლოლუსი

იყო ერთი ბიჭი.

— რა ერქვა? — იკითხა დაჩიმ.

— რა ერქვა? — მანო ჩაფიქრდა, ჩაფიქრდა.

მერე წამოიძახა: — დაჩი, დაჩი ერქვა და არავინ ისე არ უყვარდა, როგორც დედიკო.

ერთხელ დედა სადღაც წავიდა. დაჩის ძალიან, ძალიან მოენატრა, სულ კიშკრისკენ ჰქონდა თვალები, ტირილიც კი უნდოდა, მაგრამ ძალიან კარგი ბიჭი იყო და ხომ ვერ იტირებდა! დედა საღამოსაც არ მოვიდა, დაჩი დაწვა და არხვინად დაიძინა.

— არ დაუძინია.

— ზო, არ დაუძინია, მაგრამ ბოლოს მაინც დაიძინა.

— დედა?

— მეორე დღეს დედაც გამოჩნდა, უამრავი ტბილუვულობა და სათამაშოები მოუტანა დაჩის. დაჩიმ არც ფიქრად კანფეტებს ახლო ხელი, არც სათამაშოებს შეხედა. დედას კალთაში ჩაუჯდა და თქვა:

— შენ ყველაზე კარგი ხარ, დედიკო!

დედას ეს, ცოტა არ იყოს, ეწყინა.

— ყველაზე კარგი მე კი არა, შენა ხარ!

— აო, შენა ხარ... — იუარა დაჩიმ.

დედამ თვალებში ჩახედა შვილს, შუბლზე თმა გადაუწია და მაინც თავისი არ დაიშალა: — არა, დაჩი, ამ ქვეყნად შენზე უკეთესი არავინაა.

ბიჭს ახლაც ისე მოუნდა ტირილი, თითქოს დედა შინ არ ყოფილიყოს.

— არა, ყველაზე უკეთესი შენა ხარ, დედა!

— მე უფროსი ვარ და როცა უფროსი გეუბნება, უნდა დაუჯერო.

ბიჭს უნდოდა დაეჯერებინა, მაგრამ რა

ეჭნა, როცა დედაზე უკეთესი არავინ ვგულებოდა.

— არ დაგიჯერებ! — გაჯიუტდა დაჩი.

— კარგი ბიჭები არ ჯიუტობენ.

როცა დედა შინ არ იყო, ბიჭს არ უტიროია, ახლა კი აქვეითინდა.

გაჯავრებულმა დედამ ძირს ჩამოსვა ატირებული დაჩი და უთხრა:


— თუ არ გჯერა, წადი, მეზობლის ბიჭის დედასთან და ჰკითხე: დედა უფრო კარგია თუ შეილი.

ბიჭი ტირილ-ტირილით წავიდა. მივიდა მეზობლის ქალთან. ქალს თეთრი კაბა ეცვა. დაჩიმ ჰკითხა:

— დედა უკეთესია თუ შეილი?

თეთრკაბიანი ქალი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— რა თქმა უნდა. შეილი.



10.971.



ბიჭი კიდევ უფრო ატირდა და წავიდა მეორე მეზობელთან. იმ მეზობლის ქალს წითელი კაბა ეცვა. დაჩიმ ჰკითხა:
— დედა უფრო კარგია თუ შვილი?



ყურები, ტანზე ბეწვს ივლეჯს და ტოტო...
— რა გატირებს?— ჰკითხა დაჩიმ.
— როგორ თუ რა გატირებს, — თავში წაიშინა თათი ცანცარამ, — ბაჭიები დამეკარგა და ვაითუ, მეგელმა შემიჭამა, ნეტავ ერთი დამანახა, იმას ვუჩვენებ თვალის სერის.
— მეგელს?! — გაუკვირდა დაჩის, — შენც რომ შეგეჭამოს?
— ნეტავ მე შევეჭამე და ჩემი შვილები გადარჩენილიყვნენ.

— ესეც იმ ქალებივით ლაპარაკობს, — იფიქრა დაჩიმ და კვლავ ატირდა. წავიდა, იარა, იარა და ნახა: დამჯდარა მგელი ბუნავთან, რაც ძალი და ღონე აქვს ორივე თათს ირტყამს ცხვირპირში, ყმუის, კივის, წივის.

— რა გატირებს? — ჰკითხა დაჩიმ.
— შვილებისათვის საჭმელის საშოვნელად წავედი, დაბრუნდი და არც ერთი აღარ დამხვდა. ვაითუ, ლომმა შემიჭამა. ახლა ამ

წითელკაბიანმა ქალმაც მაშინვე უსახრა:
— შვილისთანა არავინ არაა.
აზლუქუნებულმა ბიჭმა მესამე მეზობელთან გასწია. იქ შავკაბიანი ქალი დახვდა. დაჩიმ ჰკითხა:
— დედა უფრო კარგია თუ შვილი?
— შვილებს შემოევლოს ჩემი თავი, მათი ფასი რაა ამქვეყნად.
დაჩის ახლა ამ ქალზეც მოუვიდა გული და წავიდა. იარა, იარა, მიადგა ერთ ტყეს, ხედავს: კურდღელს ჩამოუყურია უშველებელი



ცხელ გულზე რომ
საღმე შემახვედრა, არ
ვიცი, როგორ გადამი-
რჩება!

— მერე და, ლომს
რას დააკლებ!— გაუ-
ვირა დაჩის, — შენც
შენს შეილებს მიგაყო-
ლებს...

— ნეტუ მე შემხვე-
დროდა და შევექამე,
შვილები გადამირჩე-
ბოდნენ.

ამასაც თავის თავს შეილები ურჩევნია,
კიდევ უფრო მწარედ ატირდა დაჩი. იარა,
იარა და ისეთი ღრიალი შემოესმა, რომ სულ
დადაწიყდა თავისი სადარდებელი.

ხედავს და რას ხედავს: ლომს სულ გაუ-
სისხლიანებია სახე, მთლად დაუღლეწია იქაუ-
რობა და დამხოზილა მიწაზე.

დაჩის არც კი გაუგონია, თუ ლომმა ტი-
რილი იცოდა და ახლა კი ხედავს, როგორ
მოთქიამს.

— შენ მართლა ლო-
მი ხარ?— ჰკითხა და-
ჩიმ.

— ლომი ვარ!— ამო-
იღრიალა ლომმა.

— და ტირი!

— ვტირი კი არა,
თავს არ ვიკლავ?!
— შენც შეილები
ხომ არ დაგეკარგა?

— ხომ არ გინახავს?
მითხარი, თუ საღმე
შეგხვდა და მთელი
სიცოცხლე ძაღლივით
შენი ერთგული ვიქ-
ნები.

დაჩის ძალიან უნ-
დოდა სცოდნოდა, სად

იყო ლომის ბოკვერები, მაგრამ არ იცოდა
და ისედაც გამწარებულ დედას ხომ არ მოა-
ტუებდა.

— შენს ბოკვერებსაც ხომ არავინ შექამ-
და?— დაამშვიდა დაჩიმ.

— არ შექამდა, მაგრამ ცოტაა ფათერაკი?
ვაითუ, ჭაში ჩაცვივდნენ და დაიხრჩენენ!

— სად არის აქ ჭა?— ჰკითხა დაჩიმ.

— ჭა რომ ვიცოდე სადაა, აქ რა გამაჩე-
რებს, შიგ არ გადავევარდებოდი!





— შენ გგონია, რაკი ლომი ხარ, არ დაი-
ბრჩობი?

— რა ჯანდაბად მინდა სიცოცხლე, თუ
შვილები არ მეყოლება!

დაჩი წავიდა. მიდის, მიდის, აღარ ტირის
და ფიქრობს: დედას მართალი უთქვამს, მაგ-
რამ თვითონაც რა ჰქნას, რომ დედა მაინც
ყველაფერს ურჩევნია.

იარა, იარა და ხედავს, აგერ მდინარე ჩა-
მოდის. გაღმა დამჯდარა ორი ოქროსფერი

ბოკვერი. თათები თვალებზე აუფარებიათ და
იმ თათების სიმსხო ცრემლები სცვივით.

— გზა ხომ არ აგებნათ?—გასძახა დაჩიმ.

— ჰო, გზა აგებნა!—აღრიალდნენ ბოკვე-
რები.

— მერე და არ გრცხვენიათ, ლომები ხართ
და გეშინიათ?!—გაიკვირვა დაჩიმ.

— ჩვენ არ გვეშინია, ჩვენ დედის დარდი
გვატირებს, ჩვენისთანა დედა არავის არა
ჰყავს...



— მართალია,—დაე-
მოწმა დაჩი და ბოკ-
ვერებს გზა მისაწავლა.

წავიდა ისევ. იარა,
იარა და ხედავს, აგერ
მგლის ლეკვები ყმუიან
და შავი ცრემლით
ტირიან.

— ვიცი, რაც გატი-
რებთ.

— ტყეში დავიკარ-
გეთ და დედა ჯავრს
წერ გალაურჩება.

— ვიცი,—უთხრა და-
ჩიმ,—რა ვუყოთ, რომ
თქვენი დედა მგელია,
იგი ალბათ მაინც ყვე-
ლაზე კარგია ამ ქვეყ-
ნად.

— ჩვენი დედა ყვე-
ლაზე კეთილი და ლა-
მაზია.

დაჩიმ ახლა ლეკვებს
ასწავლა გზა, წავიდა
და ალბათ პატარა ბა-
ჭიებს ვერც კი დაინა-
ხავდა, რომ ჭყიპინი
არ გაეგონა.

— ვიცი, ვიცი,—უთხრა დაჩიმ,—რისთვი-
საც ჩაგსისხლიანებიან თვალები, თქვენს
ყველაზე უკეთეს დედასთან გინდათ ხომ? მე
მივასწავლით.

ბაჭიებს ენაც კი ჩაუფარდათ სიხარულით
და მადლობის თქმაც დაავიწყდათ.

დაჩი გამოვიდა ტყიდან, არც კი იცოდა,
საით წასულიყო, ვერ გაეგო, დედები ამბობ-
დნენ მართალს, თუ შვილები. და ისევ
აღრიოლდა.

კიდევ კარგი, საიდანღაც გრძელწვერა მო-
ხუცი გამოჩნდა. მოხუცს სიმღერასავით ხმა
ჰქონდა.

— დედები, რა თქმა უნდა, მართალს ამბო-
ბენ,—დაიწყა მოხუცმა ისე, რომ ბიჭისთვის
არც კი უკიდ ხავს, რისთვის ტიროდა. დაჩიმ
სულ ამოიგლიჯა გული.

მოხუცმა სიმღერასავით განაგრძო:

— არაფრით არ მეგონა, მაგრამ რომ ვუკ-
ვირდები, შვილებიც მართალს ამბობენ.—
თქვა ეს, უშველებელი, მიწაძღე დაშვებული



წვერი აკრიფა. სულ სამიოდე ნაბიჯი გადალ-
გა და გაქრა.

დაჩის ამასობაში ჩასძინებოდა.
მანო ფეხაკრეფით გაიპარა ოთახიდან.



მოგვილოცა გაზაფხული

ნოლა შაბანაძე

დეკემბერმა დაგვადონა,
თოვლი აღარ მოგვაკარა,
იანვარმა მოგვალხინა,—
მოგვაყარა ხოშკაკალა;
თებერვალმა დაუბერა,
ხეში წყალი ჩააყენა;
მარტმა ვაზი გაადვიდა,
ნერგი ფეხზე დააყენა,
მდელოები აამწვანა
დიდი თოვლით გალახული,
იებით და ენძელებით
მოგვილოცა გაზაფხული.



გამოზაფხულდა

ლაშარა რუსიშვილი

გამოზაფხულდა, ფუსფუსებს
ბაღჩაში კესო ბებია,
მინდვრად გუგუნებს ტრაქტორი,
ბელტები ბელტზე წვებიან.

აკ ზესვირეთ

ნიკო კახიკაძე

წირველი გასაფხული იყო, ჰაერში ჯერ
კიდევ სუსნი ტრიალებდა.

ერთი-ორმა დღემ სრავი მცენარე გამო-
იტევა. ბაღში სუმბულისა და ნარგისის
კვირტები მიწას ასცილდნენ.

ზანამ სუმბულს ფრთხილად გადაუსვა ხე-
ლი და წაიღაპარაკა:

— დამით შესცივათ...

— რად შესცივათ?

— იმიტომ, რომ დამით მზე არ ანა-
თებს... და ჯერ კიდევ კარგად არ გასაფხუ-
ლებულა.

ნიკას ხმა არ გაუცია, თავის საქმეებში
გაერთო.



— ნიკა, დროა დამიხიო, წავიდე!— და
დედამ ლოკინისკენ წაიყვანა. ლოკინი ცა-
შალა და...

— შენი საბანი სადაა?

— ბაღში, დედიკო!

— იქ რა უნდა?!

— ეგვილებს დაგაფარე, რომ არ შეს-
ცივდეთ.

ზანამ გაიღიმა და არა თქვა რა.



ნახატი ზურაბ შორაჩიძისა

მშვიდობაში

ზინა ჩხვიანი

მზე-მზექალა სერზე შედგა,
გაუცინა იას გაშლილს,
ლურჯი კაბა მიულოცა:

— მშვიდობაში, მშვიდობაში!

ზეწუხე გადარჩი, ვეღლაფერი კი ჩემი გაუგონარი, კერპი შეილის ბრალია.

ატდა ჩემი სულელი შეილი, ჩემი პატარა ზღარბუნა; ვინდა თუ არა, გავცხივინოთო.

კარგი, ჩაკი იღარ იშლი, წყვილეთ! ოღონდ იცოდეთ, ვეღლაფერი უნდა დამიჭეროთ. თორემ, თუ იქაც შენებური საგუროტე დაიწვე, მერც სახლიდან ვარეთ აღარ გავიყვანა-მეთქი.

— ფხი, ფხი, ვაგოგონებ, ვეღლაფერს გავიგონებ, დედაკო, ფხი, ფხი!



ზღარბუნის წყვილები

სულელივით ვეღლაფერზე ვცინებო. ფუტურნიც იმიტომ დავარჩევი.

ავდეშით და ვეღლაფერთა გზას. შარის პირას ღობეში შევცხივინო.

კარგად შინ გავიდა, ჩემი ფუტურნი ისე გაერთო, ჩამდ შინ დაბრუნება სულ დავიწყედა.

— მოდი, დედაკო, ღობეში გავცხივინო და შარზე ვავიდე.

— არა, ახლა შინ უნდა დავბრუნდეთ.

— არ მინდა შინ, არ მინდა შინ! მე აქ მინდა! — შორითი გირილი ჩემმა ზღარბუნამ. ეტყვი ჩამებს და დავიკრებებს? მაშინვე პირს აღებს სატირლად.

ახა, ჩას ვიწამლი! გავცხივინო ღობეში და იქვე, გზის პირას, აჩბში ჩავიკვდილი. ვებრძვ, ორი ბიჭი მოლაპარაკობს შარაზე.

— ახლა კინიკი არ დაჩაბა, — ვეუბნები ფუტურნიას, — თორემ ვიი, შენს ტყავს!

ის კიდედ უეუტებს და...

— ფხი, ფხი! ჩა სასაცილო ხიარული სცოდნით.

— ვაჩუშლი, სულელი. ვაჩუშლი!

ის კი:

— ფხი, ფხუ! — ვეძება სიცილით.

ამ ხმაურზე ორივენი გაიჩრდნენ. ერთი პატარა ბიჭი იყო, მეორე — დიდი.

— აქ სადღაც ზღარბია, ნუგზარ! — ეუბნება დიდი.

— არა, როსტომ, ეს ცხვირია!

ჩემი სულელი შეილი კი:

— ფხი, ფხუ, ცხვირი ვცინივარ, ფხი, ფხუ! — სიცილისაგან იგულდება.

— მართლად ზღარბი უყოფლა, — უთხრა იმ ბიჭმა, ნუგზარ! რომ ერქვა და ჩვენსკენ წამოვიდნენ. მე დავიკრეშე და უკანარში გავცინაბე, იქნებ ვერ შემაშინოთ-მეთქი. ფუტურნიასაც წაუჩურჩულე!

— არ ვაინძრე, არ ვაინძრე, სულელი, თორემ ოთხივე ფხით ვავებშეხიო.

მაგონებ სიკვლეში ხარ? არ დამიჭერა.

დეღურებს დედას? კიდედ კარგი, კეთილად! მინდები იყენებ, თორემ ვინ იცის, ჩა დღე-ღამეობა ბოდა-მეთქი.

— ვეღლაფერს და ვიკრებო ახლა, დედაკო, ვეღლაფერს. — წრიაანებდა ფუტურნი.

ახა, ჩალაბ ვიწამლით იმ კეთლი ბიჭებს გულისით უნდოდათ, იმთი ბოსტანში გვეცხოვრა და ჩვენც აღარსად წაესულვარო. ახლაც იქ ვცხოვრობო.

— ემ, მაგაზე ადვილი ჩა არის, ახა, მიუტრე! — უთხრა როსტომმა და იქვე ერთ ქლიავს ტოტი შეატება.

იმ ქლიავის ტოტი შუაზე გადაეცია, მოკცილა ტოტს შუა გაქაშეს ჩემი შეილი და პიადი, ვაუყუნეს გზას. ახა, ჩა გული მომიმინდა, ფეხდა-ფეხ ავიდევინე ბიჭებს, ცრული ლაპლუპით ჩამოვდიხ...

ჩემი ფუტურნი ეზოში შეიყვანეს და გაუშვეს. ვუარებ და გული მიკვდება. ვინც კი გავიღვამოვღვალს ვეღლა მის უტყერის, თან ცნობისმოყვარედ კიბოვლობენ:

— ცოცხალია?

— ცოცხალია, — ეუბნებიან ბიჭები.

— ვინ დაიჭირა?

— ჩვენ, მე და როსტომმა. — ამბობს ნუგზარი.

აი, მოვიდა ერთი ჭალარა კაცი და ბიჭებს ეუბნება:

— ეგ ზღარბი არ მოკლიათ. სახარგებლო ცხოველია, ბოსტანში გაუშვიო: იმ არემარებზე უხსენებელი ვეღარ გაიტეპანება.

ბიჭებს ისე იმ მოკცილი უკონო იყვანეს ჩემი ფუტურნი და ბოსტანში გადსახეს. მერც დავდგინე და ეგლოდებოანი: ახა, ერთი საით წავიბო. მაგარა ფუტურნი ისე დავკრეშული იყო და ადვილიდან არ იძვროდა. ჩვენ, ზღარბებს, ახეთი ჩვევა გვაქვს: როცა ვინმესი ვეუშინია, დავიკრეშებთ ხოლმე.

ბიჭებმა უარებ, უარებ და წვიდნენ. ადბათი, სკოლაში ავცინებდით.

მაშინვე გამოვცხივინო ღობიდან.

— ფხუ, ფხუ, მოდი აქ! — დავუძახე ფუტურნიას.

ო, ნეტავ ვენახით, როგორ ვაფხარდა ჩემი დანახვა! მეც მივუღერებ, მოვიფერებ. მერც ერთი ორიც ვეშურებო. — მე სულელი, არც ახლა



ნახატი გიორგი როინიშვილისა

ხათუნა



პატარაა ხათუნა,
კურღლედივით დახტუნავს;
მოიპარა შაქარი,
ტკბილად ჩააკნატუნა.

დიდებამ რომ გაუგო,
თავი მოიკატუნა,
თვალეები ძირს დახარა,
უმად სული გატრუნა.

ამდროს მასთან მივიდა
ფისო ყურებპარტყუნა,
ფეხზე კული გაუსვა,
თათი მოუფათურა.

— ნეტავ კატას თვალებში
ვინ ჩაუღდა ნათურა?!

გრიკისი და ცაჭუჭი

ლატიფური სხარტულა

იყო ერთი ღარიბი გლეხი, სახელად გრიკისი. იგი ახალი სახლის აშენებაზე ოცნებობდა, მაგრამ არც მასალა გააჩნდა და არც ფული. მთელი მისი ავლადიდება ერთი ბატი იყო.

წავიდა გრიკისი მემამულესთან. უამბო თავისი გასაჭირი და სახლის ააშენებლად მასალა სთხოვა. სანაცვლოდ თავის ერთადერთ ბატს შეჰპირდა.

მემამულე დათანხმდა. როცა გრიკისმა ბატი მიუყვანა, მემამულემ უთხრა:

— ოჯახში ექვსნი ვართ: მე, ჩემი ცოლი, ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი. როგორ გავიყოთ ექვსმა ერთი ბატი?

— მაგაზე ადვილი რა არის, მე გავიყოფთ! — უთხრა გრიკისმა.

მან აიყვანა ბატი, წავლიჯა თავი და თქვა:

— თქვენ, ბატონო, როგორც ოჯახის უფროსს — თავი გეკუთვნით, თქვენს მეუღლეს, როგორც



გამრჯე დიასახლისს—ბოლო, თქვენს ლამაზსა და ჩიტივით მსუბუქ ქალიშვილებს—ფრთები, თქვენს ვაჟიშვილებს, როგორც ოჯახის ბურჯებს—ფეხები. რაც დარჩა, ჩემი საცოდავი თავისა იყოს. მემამულე ძალიან კმაყოფილი დარჩა, მისცა გრიკის მასალა სახლისათვის და თავისი წილი ბატის ხორციც გაატანა. ეს ამბავი მეორე გლეხმა შეიტყო.

— მასალა არც მე მაქვს,—გაიფიქრა მან, სამაგიეროდ ხუთი ბატი მყავს, მივუყვან ბატონს და ფარდულისათვის მასალას ვთხოვ.

ასეც მოიქცა, მაგრამ ბატონის ოჯახის წევრებს ბატები ვერა და ვერ გაუნაწილა.

მაშინ ბატონმა ბატების გასანაწილებლად ისევ გრიკისი დაიბარა. გრიკისმა ბატონსა და მის მეუღლეს ერთი ბატი მისცა და უთხრა:—ბატონო, თქვენ, თქვენი ცოლი და ეს ბატი, ერთად სამნი იქნებით. მეორე ბატი ვაჟებს მისცა და ბატონს უთხრა:—თქვენი ორი ვაჟი და ეს ბატოც, ერთად სამნი არიან. მესამე ბატი ქალიშვილებს მისცა და თქვა:—ორი ქალიშვილი და ბატი ისევ სამნი იქნებიან. თვითონ გრიკისმა ორი დარჩენილი ბატი აიყვანა და თქვა:—ერთი გლეხი და ორი ბატი—ესეც სამიო.

ასე იშოვა მოხერხებულმა გრიკისმა ორი ბატი.

ნახატები ლიმიზირი ზარაფიშვილისა




ჯანსუღ ჩარკვიანი

ნიანგი

თამუნა და მინდია,
ზოოპარკში მიდიან,
ნიანგი არ უნახავთ,
კი ნახავენ, თუ დახვდათ—
აღიდებულ მდინარეს
გაჰყოლია მძინარე...
თამუნა და მინდია
სულ ტყუილად მიდიან.

ზოოპარკში

— წითელქუდავ, შენ და ბებო,
საით მიბრძანდებით?
— ზოოპარკში, მგელი უნდა
ვნახოთ მე და ბებო.
წითელქუდას ბებო ვარო—
ასე უბრძანებია,
უნდა ვნახო, მართლა თუ ჰგავს
ჩემს საყვარელ ბებიას.



კაკო და კოკა

თამარ ჩხიძე ნახტი ზურაბ მამქარიანილინა

კაკომ კოკას ხელი დააგლო და წვაროს-
ქს გავშურა. ზატარა იყო კაკო, ზატარა
იყო კოკაც.

— ტუქ-უელიც გაქვს, მუცელ-ტანიც,
გაგანარებ შინ მიტანიო!— დაჭლიდინებდა
კაკო კოკას. წვაროსაც შეჭლიდინა:

— წვაროვ, წვაროვ, ჩამოძისნი ცივი
წვლიო!

აუფსო წვარომ კაკოს კოკა და დასძინა:

— შენისთანა ზატარამო როგორ შეს-
ძლოს ატანაო!

— არხეინად იევე!— უოსრა კაკომ და
გ'ხას მიჭევა. ეძმისა კაკოს კოკა, მკგრამ არა,
წვალი არ გადაღვარა. ქომინ-ქომინით შე-
ვიდა ესომი, ჭიშკართან დედა შემოეკება:

— შეილო, შეილო, მომსწრებიხარ!—
თქვა და ცრემლი მოყრია. განვიოქული კო-
კაც იცრემლებოდა.



ცუცქია

ლელი ვალაჰორია

ნახატები მელარე ამბოქაძისა

ერთმა კაცმა მეორეს თეთრი, წითელთვა-
ლება ვირთხა აჩუქა. კაცმა ვირთხა სახლში
მიიყვანა.

ვირთხამ მიივებოვით მრგვალი თვალებით
ოთახი მოათვალიერა.

— ეს რა მოგიყვანია?!—იკითხა გოგომ.

— თეთრი ვირთხაა.—თქვა მამამ და ვირთხა
ფრთხილად გაუწოდა.

— როგორი ფაფუკი და ლამაზია!

— რა დავარქვათ?—იკითხა ბიჭმა.

ვირთხამ ახლა მეორე მხარეს მიიხედა: ვი-
ლაცა ბიჭი მუხლებზე ნებივრად მოკალათე-
ბულ კატას ვალერსებოდა.

„ოოგორ გემრიელად კრუტუნებს და ნა-
ბავს თვალებს, შენი მსხვერპლი უნდა გავხ-
დე, ნეტა?!“—შეშინებულმა ვირთხამ გოგოს
გრძელ თითებში თავი ჩამალა.

კატამ რაღაც იგრძნო და ყურები ცქვიტა.
გადმოხტომა დააპირა.

— ქვიანად იყავი...—აღერსით უთხრა კა-
ტას ბიჭმა,—ეგ შინაური ვირთხაა და მტრო-
ბა არ იყოს!..

— გალიაში შევსვით, თორემ შეიძლება,
უსიამოვნება მოხდეს.—თქვა მამამ.

დაცუნცულებდა ვირთხა გალიაში, ხან
ერთ მხარეს გამოჰყოფდა ცხვირს ხარიხები-
დან და ხან—მეორე მხარეს. კატა ნებივრად
გაწოლილიყო მზეზე, თვალი მიენახა და კუ-
ლი ვერაგულად აეპრიხა.

— კარგი სახელი დავარქვით ვირთხას.
არა, დედა?—თქვა ბიჭმა.

— არ ვიცი, რა დაარქვით?

— თერთა და ცუცქია.

— ორი სახელი რა ამბავია? თუ, ერთი
გვარია?—ყველამ ერთად გაიცინა.

„ერთი გოგომ დამარქვა, მეორე—ბიჭმა“.—

გაიცინა ცუცქიამაც.


სწორედ ამ დროს კატა ცუცქიას სასახლეს
თავზე მოექცა. აწრიპინდა ცუცქია. კატა კი
ისე უჯახუნებდა გალიის ხარიხებს ბრქვა-
ლებს, თითქოსდა გიტარაზე უკრავსო.


რამდენიმე დღე კატა არ გამოჩენილა და

ცუცქიამაც მოისვენა. თურმე, ნუ იტყვით,
სხვენზე აბრძანებულიყო და იქ თავის ბრმა
კნუტებს ძუძუს აწოვებდა.

„ვაი ჩემი ბრალი... აქამდე ერთი ფისო მი-
ხეთქავდა გულს, ახლა კნუტებს რაღა გაუძ-
ლებს“,—ფიქრობდა ცუცქია.

ერთ საღამოს ცუცქია გალიიდან გამოუშ-
ვეს. ვირთხამ ყოველი კუთხე-კუნჭული მოიზ-
ბინა და ბოლოს ღუმელთან მოკალათდა.
იქვე გოგო-ბიჭი ფარდაზე თხილობანას თა-
მა მოზბდნენ. გაუგორდებოდათ თუ არა თხი-
ლი, ცუცქია იმ წამს მივარდებოდა და წაა-
ცუნცულებდა, გალიაში ინახავდა. გულიანად
იციონდნენ ბავშვები. ცუცქიაც დიდ განცხ-
რომაში იყო. სწორედ ამ დროს კარებთან
კატა-კრუტუნას კნავილი მოისმა, სახლში
შემოსვლას ითხოვდა. ფისო კნავისო და,
ცუცქიამაც ფაცხაფულცხით მოკურცხლა გა-





ლისაკენ, მაგრამ გალიის კარი დახურული
დახვდა. დაიბნა ჩვენი ცუცქია. კრუტუნა
უკვე ოთახში შემობრძანებულიყო და უღვა-
შებს მსუნაგად აცმატუნებდა.

„ვაი, შენს ცუცქიას!—გაიფიქრა ვირთხამ,
ჯერ გალიას შემოახტა, მერე სწრაფად ჩაიო-

ცოცდა და ტანტქვეშ დააპირა შემალვა, მაგ-
რამ უკვე გვიან იყო: ფისომ ისეუბა და თავ-
ზე დააცხრა. ვგრე არ უნდაო, ცუცქიამ
დროზე უშველა თავს და ახლა მაგიდის ქვეშ
შევიარა. შემინებული ბავშვები გარბოდნენ
და გამობრბოდნენ. ხმაურზე მამა გამოვიდა.
კრუტუნას შეუძახა და ცუცქიას წინ გადაუდ-
გა, მუხლზე ხელი დაირტყა. ცუცქია წამში
ააცოცდა პატრონს და მხარზე მოექცა. კატამ
ისლა მოასწრო, კაცის ფეხებს დასძვგვებოდა.
პირში ჩალაგამოვლებული დაცუცქდა და
პატრონის მხარზე არხენინად შემომჯდარ
ვირთხას ახვდა.

იმ საღამოს ცუცქია დაბანეს. ღამით საში-
ნელი ხველება და ცახცახი დააწყებინა. საჭ-
მელიც ვერ ქამა.

— რა დაემართა ცუცქიას?!—უკვირდათ
ბავშვებს.

— გაგიცივდათ.—მოკლედ, ნაწყენი ხმით
თქვა მამამ.

დედამ ბამბაში შეახვია, ღუმელთან დასვა.
საწყალი ისე ძაგძაგებდა, თეთრი ქურქის ბეწ-
ვი ყალყზე ეღგა. ის იყო ჩასთვლიმა, რომ
ბიჭის ხმა მოესმა:

— კრუტუნა, ხელი არ ახლო!
განძრვეის თავი არ ჰქონდა. მერე აღარა-
ფერი აღარ ახსოვს... რომ გამოედვიძა, სა-
შინლად ბნელოდა, მხრებზე რაღაც რბილი
და თბილი სხეული დასწოლოდა. ისლა მოა-
ხერხა, მისუსტებული ხმით დაიწრიპინა და
ისევ თვალის ჩინი წაერთვა. გონზე რომ მო-
ვიდა, ვიღაცის თბილი სუნთქვა იგრძნო...
უფრო ფართოდ გაახილა თვალეები და პირ-
კატა ეცა!.. კატამ, გვემით, კატამ ხაოიანი
ენა აუსვა ბეწვზე.

რომ გათენდა, მეორე ოიახიდან ბავშვები
გამოცვივდნენ, ხელში აიტაცეს ვირთხა.

— შენი ჰირიმე, კრუტუნა, მოარჩინე.
ცუცქია?—ახლა კატას მიუბრუნდნენ. კატა-
მაც თანხმობის ნიშნად დაიკრუტუნა და ბიჭს
ფეხებზე მიგლაშუნა. ცუცქია მისებურად
აცუნცრუკდა. კული მოხდენილად მოიქნია,
კატას გარს შემოურბინა, მერე პატარა სკამის
ხარინახე შესეკუბდა და კრუტუნას მიეკრა.

დედის სიყვარული



მექსიკური ლეგენდა

ერთმა მელიამ საბილოს ძებნაში მთელი სოფელი შემოიწანწალა, მაგრამ ვერაფერი მოიხელთა, შინ ხახამშრალი დაბრუნდა, ამას ვინღა ჩიოდა, —პატარა მელიკო სოროში აღარ დაუხვდა. დაჯდა და ტირილი დაიწყო. ტირილით, აბა, რას განდებოდა, ადგა და ძებნას შეუდგა. დადიოდა და ყველას ეკითხებოდა:

— ჩემი მელიკო ხომ არსად შეგხვედრიათ.

ყველა ერთნაირ პასუხს აძლევდა—არ გვინახავსო.

ბოლოს, სად იყო და სად არა, ბუჩქებიდან ტურამ გამოჰყო თავი.

— ძმაო, ტურიკო, ჩემი შვილი ხომ არსად შეგხვედრიაო.

— როგორი იყო შენი შვილი, დაო, მელიაო?

— ჩემი შვილი?—ამოიოხრა მელიამ,—ძალიან

ლამაზი იყო, პატარა დრუნჩი ჰქონდა, მძივებით მრგვალი თვალები და მარდი ფეხები... ბეწვი სულ უზვინავდა და ფაფუკი კუდიც ძალიან უხდებოდაო.

— არა, არა,—შეაწყვეტინა ტურამ.—კი ენახე ერთი პატარა მელია, ყურებჩამოყრილი, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, თვალები აცაბაც გაურბოდაო...

— ეგ არის, ეგ!—დაიკენესა მელიამ,—ჩემი შვილი ყოფილაო!

— აკი, ჩემი შვილი ლამაზი იყოო?

— ძმაო, ტურიკო,—წამოიყვირა მელიამ,—განა არ იცი, ყვავსაც თავისი ზახალა მოსწონსო.

თარგმანი ლილი გვირგვინი



ბუნების

კაციძეფი



ბუნების

თავი ქვის აქვს,
ტანი ხეა,
ტანზე ძაფი დაიხვია;
ცერზე ღვას და დაველურს უვლის,
ცეკვით კალთა დამიხია.

აივსება—წამოდგება,
დაიცლება—წაიცივება;
სავსე ყელში თოკს უჭერენ,—
ვინ მიხვდება, რა იქნება?

პირადი ნაწილი

ვინც ზრდილია, დამუჯერე,
ბუჯითი და მარდია,
ასეთ ბავშვებ აშობუნენ;
დედის გულის.....

მთა პირადი ნაწილი

ძვირფასო ბავშვებო! ჩვენი ქრანაღის პირ-
ველ ნოჰეარში დაბადებული ნახატი „ბორკოტი კაცილა
და შვლის ნუკის ახმათი- სურულა ბავიზიანთ და
პარკი მოთხროგებინ შხვიღაგაით.
შეულა დიდ მადლოგას ბითველი.

ბორკოტი კაცილა
და შვლის ნუკის
ახმათი



აროდელა აინთება
მეხანე შუიტი?

შუღანი წყობათი ბეჭდანი სილის
მაჟღელ ახაა ზევიტეზელ.



ნახატი პ. მირიანოვი

ორი ბრიყვი დათვის ბელი
კოვზებისთვის წაბაუბაჯდა...
კოვზები კი მოიტანეს,
მეგრამ თათლი აღარ დახვდათ.

— ასე უკვებ ვინ შესვლია?
წუწკი საით გაიპარა?
— ამა, კარგად დაუაცირდეთ,—
იქნებ აქვე დამიმალა.

ჩაი სათავაშოა

ფოთლა იანაშოლა



სათავაშო ბეგრი მაქვს,
ქველიცა და ახალიც,—
ერთი დედოფალა მყავს
ჩემზე ბევრად მაღალი.

ტყვა არ აქვთ ოთახში
თოჯინას თუ დათუნას,
შანქანები, ეტლები
დღანან სართულს-სართულად.



მთავარი ადგილითი მთავარი მხარეა აქავე.

საქართველოში არის მრავალი უდიდესი ქალაქი, რომელიც სხვადასხვა მიზნითაა დაარსებული. თანამედროვე ქალაქები არის მხოლოდ ერთი — თბილისი. ეს ქალაქი არის საქართველოს დედაქალაქი და ყველაზე უფრო განვითარებული ქალაქი. თბილისი ქალაქი არის საქართველოს უდიდესი ქალაქი და ყველაზე უფრო განვითარებული ქალაქი. თბილისი ქალაქი არის საქართველოს დედაქალაქი და ყველაზე უფრო განვითარებული ქალაქი.



76055

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი — ნახატი მანანა გურგენიძისა, 6 წ. სიგარეჯო.
 მ შ ი ს რ ა ხ ვ ღ ღ ა — ნახატი ლუბა ბოიკოსი, 9 წ. გულაუთის რაიონი, მიუსერა.
 ა უ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი — ნახატი ნათია ბებიაშვილისა, 5 წ. თბილისი.
 ქ ა ლ ი ს პ ო რ ტ რ ე ტ ი — ნახატი მაია ქაციაბაიასი, 11 წ. თბილისი.
 ა ვ ტ ო მ ა ნ ქ ა ნ ა — ნახატი არჩილ ხანაძისა, 6 წ. თბილისი.
 პ ე ი ზ ა ე ი — ნახატი ვია ფორდანაისი, 7 წ. თბილისი.